ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 58

06.08.2021 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
12:00 საათი *ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 6 აგვისტო, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე **მარიამ კვერნაძე,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032119075-03; 09.07.2021).* (მომხსენებელი - **მარიამ კვერნაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე).

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის** და **ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო** კომისიებთან ერთად.

კომისიის სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე განკარგულების პროექტი კომისიას წარუდგინა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ.

მარიამ კვერნაძე - მოგესალმებით. მოგეხსენებათ, რომ ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებულ 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ემიჯნება ფედერაციის საკუთრებაში არსებულ შენობას, რაც ფაქტიურად წარმოადგენს მათ ეზოს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფედერაციას აქვს მოწყობილი ღია სავარჯიშო მოედანი და გამწვანებულია მათ მიერ ხე-მცენარეებით. იჯარის ვადა გახლავთ ხუთი წელი, მინიმუმ 5 000 ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით არ გვაქვს შენიშვნა, გავეცანით და შევისწავლეთ დეტალურად. მოვისმინეთ წარმოდგენილი პოზიციები და დარწმუნებულები ვართ, რომ ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების განვითარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე